Bakhvi HPP

შპს ბახვი 2

ქცევის კოდექსი

ქცევის კოდექსი დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2024

სარჩევი

შესავალი 2
ღირებულებები და კორპორატიული კულტურა 4
ქცევის კოდექსი და პოლიტიკა 4
ქცევის კოდექსის წლიური გადახედვის პროცესი 15

შპს ბახვი 2
ქცევის კოდექსი

შესავალი

შპს „ბახვი 2“ (შემდგომში - „კომპანია“) გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს 35.4 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 2“ ჰესის (ბახვი 2ა, ბახვი 2ბ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 29 მაისის N241/ს ბრძანებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის“ ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

„ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ხორციელდება მდ.ბახვისწყალზე ზღვის დონიდან 1 378-506 მ ნიშნულებს შორის. პროექტი ითვალისწინებს 2 სადგურის მოწყობას, ბახვი 2ა, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 11.6 მგვტ-ს და ბახვი 2ბ, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 23.8 მგვტ-ს.

„ბახვი 2ა“ სადგური წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაში იქნება სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა, სადაც განთავსებულია ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის საჭირო ყველა ელექტრო და მექანიკური აღჭურვილობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა შეადგენს 311.55 მ-ს, ხოლო საპროექტო წყლის ხარჯი შეადგენს 4.6მ^3/წმ-ს. საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 45.5 გვტ/სთ.

„ბახვი 2ბ“ წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაში იქნება: სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა 551.2 მ-ია, ხოლო საპროექტო ხარჯი 5.3მ^3/წმ. საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 92.8 გვტ/სთ-ს.

შპს „ბახვი 2“ საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

წინამდებარე ქცევის კოდექსი წარმოადგენს ყველა თანამშრომლისთვის განკუთვნილ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს,და ამასთანავე კომპანიის სტრატეგიულ გზამკვლევს, რომელიც ემსახურება ჩვენი ბიზნეს საქმიანობის კეთილსინდისიერად წარმართვას და კომპანიის მკაფიო მოლოდინების თანმიმდევრულ შესრულებას.შპს „ბახვი 2“-ის მიზანია პოზიტიური გავლენა იქონიოს მრავალ მიმართულებაზე, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვზე, შრომის სტანდარტების დაცვასა და გაუმჯობესებაზე, გარემოს დაცვასა და კორუფციასთან ბრძოლაზე. ეს პრონციპები წარმოადგენს არა მხოლოდ მაღალი იდეალების ერთობლიობას, არამედ ისინი ჩვენი მისიისა და ღირებულებების ძირითადი საყრდენი ელემენტებია.

ადამიანის უფლებები:
ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მხარი დავუჭიროთ და პატივი ვცეთ საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს. უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენი ბიზნეს საქმიანობა არ არღვევდეს ინდივიდების უფლებებსა და ღირსებას, როგორც ჩვენი ორგანიზაციის შიგნით, ასევე იმ საზოგადოებაში, სადაც საქმიანობას ვახორციელებთ.

სამუშაო:
შპს „ბახვი 2“ იცავს გაერთიანების თავისუფლებას და აღიარებს კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებას. ჩვენ მზად ვართ, აღმოვფხვრათ იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმა, როგორც ჩვენი ორგანიზაციის შიგნით, ასევე ჩვენი მომარაგების ჯაჭვში და სამუშაო ადგილზე შევქმნათ მრავალფეროვანი, არადისკრიმინაციული გარემო.

გარემო:
შპს „ბახვი 2“ გარემოსდაცვითი გამოწვევების მიმართ იყენებს პრევენციულ მიდგომას და ვალდებულებას იღებს, მინიმუმამდე შეამციროს კომპანიის საქმიანობის გავლენა გარემოზე. ჩვენ აქტიურად ვეძებთ შესაძლებლობებს, რათა ხელი შევუწყოთ გარემოს მდგრადობას, მხარი დავუჭიროთ ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებას და წვლილი შევიტანოთ პლანეტის კეთილდღეობაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა:
შპს „ბახვი 2“-ს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველა ფორმით იბრძოლოს კორუფციის წინააღმდეგ. კომპანიას დანერგილი აქვს და იყენებს მკაცრ ანტიკორუფციულ ზომებს, მათ შორის გამჭვირვალე პოლიტიკას, სასწავლო პროგრამებსა და ანგარიშგების მექანიზმებს, რათა ეთიკური ქცევა უზრუნველყოფილი იყოს ორგანიზაციის ყველა დონეზე.

ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება:
შპს „ბახვი 2“-ში სრულად ვაცნობიერებთ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენს საქმიანობაში. თანამშრომლებს მოეთხოვებათ, არასათანადო, ან არაეთიკური ქვევის შემთხვევის შესახებ აცნობონ კომპანიას სპეციალური არხების გამოყენებით, კერძოდ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობითი საკითხების მენეჯერთან, ან უშუალო ხელმძღვანელთან კომუნიკაციის მეშვეობით.

ასევე მოქმედებს ანონიმური შეტყობინების შესაძლებლობა, საჩივარების სპეციალური ყუთის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ა განმცხადებლის კონფიდენციალურობის სრულ დაცვას. თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობაა, დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპანიას ქცევის კოდექსის დარღვევის შესახებ, თუ თავად არის დარღვევის მოწმე, ან ფლობს ასეთ ინფორმაციას. მენეჯერები და ზედამხედველები სერიოზულად უნდა მიუდგნენ არასათანადო ქცევის შესახებ ცნობებს და საკითხის მოსაგვარებლად დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები.

თითოეული ანგარიში არამართლზომიერი გადაცდომის შესახებ საფუძვლიანად უნდა განიხილონ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერმა და შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას. შედეგები წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს. ინფორმაციის მოძიების პროცესში ჩართული პირები, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ინარჩუნებენ კონფიდენციალურობას.

„კომპანიაში“ დანერგილია საჩივრებისა და პრეტენზიების მიღების და განხილვის მექანიზმი. საჩივრების მექანიზმი ღიაა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, განსაკუთრებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და თემებისთვის. საჩივრები წარედგინება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერს ან/და თემთან ურთიერთობის ოფიცერს, წერილობით, ვერბალურად, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით,

ან საჩივრის ყუთის მეშვეობით. თემთან ურთიერთობის ოფიცერი თავსი მხრივ საჩივარს აცნობს მენეჯერს.

კითხვები და მოთხოვნები, რომლებზეც ორი მცდელობის მიუხედავად, დაინტერესებულ მხარეს არ გაეცა შესაბამისი პასუხი, გადაინაცვლებს განხილვის მომდევნო ეტაპზე, კერძოდ, კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (შემდგომში - „ჰოლდინგი“) დონეზე. თუ ჰოლდინგი ორჯერ ვერ შეძლებს მომჩივანისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემას, მომჩივანს განემარტება, რომ სასამართლოს მიმართვის უფლება წარმოადგენს კანონით აღიარებულ უფლებას კომპანიამ შეიძლება მიიღოს, როგორც ხელმოწერილი, ისე ანონიმური საჩივრები. თუმცა, თუ მომჩივანს პასუხის მიღება სურს, მან აუცილებლად უნდა წარადგინოს საკონტაქტო ინფორმაცია. საკითხის განხილვის ფორმიდან გამომდინარე, კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერი მომჩივანს უპასუხებს მინიმუმ 10 დღის და მაქსიმუმ 30 დღის ვადაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ საკითხის განხილვა არ დაიხურება, სანამ მხარე არ დაკმაყოფილდება პასუხით, ან გადაწყვეტს, თავად დაიცვას საკუთარი უფლებები შემდგომი პროცედურებით.

ღირებულებები და კორპორატიული კულტურა

ქვემოთ მოცემულია შპს „ბახვი 2“-ის ღირებულებები და კორპორატიული კულტურა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული თანამშრომელი ითვალისწინებდეს და აღიარებდეს შპს „ბახვი 2“-ის ღირებულებებსა და კორპორატიულ კულტურას, მათი სამუშაოს ყველა ასპექტში:

1. ჩვენ ნოვატორები ვართ. ჩვენ ვიღებთ გამოწვევებს და ვნერგავთ ინოვაციებს;
2. ვმუშაობთ არა მხოლოდ ფინანსური მოგებისთვის, არამედ ღირებულებებისა და განვითარებისთვის;
3. ორიენტირებულები ვართ დეტალებზე;
4. ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რომ შევქმნათ ღრმა, ღირებულებებით სავსე ურთიერთობები;
5. მივესალმებით გულწრფელ დისკუსიებს, უარვყოფთ დახურული კარის პოლიტიკას;
6. საქმეს ვუდგებით პოზიტიურად და აღვიქვამთ მას, როგორც შესაძლებლობას და არა როგორც ტვირთს;
7. ჩვენ არ მოვითხოვთ ჩვენი თანამშრომლებისგან პატივისცემას, არამედ ვიმსახურებთ მათ პატივისცემას;
8. პრობლემების იდენტიფიცირებისას არა მხოლოდ განვიხილავთ მას, არამედ ვეძებთ იდეებს მის გადასაჭრელად;
9. ემოციებს არასდროს ვაძლევთ საშუალებას მართონ ჩვენი სიტყვები, ან მოქმედება. ადამიანებთან ჩვენი ურთიერთობა ეფუძნება პატივისცემას;
10. ჩვენ ვიყენებთ სიტყვებს პოზიტიური ატმოსფეროს შესაქმნელად. ვერიდებით სარკაზმს;
11. ვასწორებთ დარღვევებს, რათა დავიცვათ ჩვენი ღირებულებები და გავაძლიეროთ ანგარიშვალდებულება, ინოვაციური და ეფექტური სამუშაო კულტურა

ქცევის კოდექსი და პოლიტიკა

მომდევნო თავებში განხილულია შპს „ბახვი 2“-ის ქცევის კოდექსი (შემდგომში - „კოდექსი“) და სხვა მიდგომები, რომელთა სათანადო დაცვასაც კომპანია მოელის ყველა თანამშრომლისგან . შპს „ბახვი 2“ თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყობს ისეთი სამუშაო გარემოს არსებობას, რომელშიც თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს საქმიანობა განახორციელოს გუნდურ, ღია და სანდო გარემოში. შპს „ბახვი 2“-ის თანამშრომლები აძლიერებენ გუნდის თითოეულ წევრს, პასუხისმგებლობას იღებენ რისკების შემცირებაზე, ანგარიშვალდებულებაზე და პატივს სცემენ განსხვავებულ შეხედულებებს.

მრავალფეროვნება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა, რომლითაც შპს „ბახვი 2“ ამაყობს, თანამშრომლების მრავალფეროვნებაა. თანამშრომლებს სხვადასხვა ქვეყნიდან, კომპანიის საქმიანობის პროცესში შეაქვთ კულტურული, პროფესიული და პირადი გამოცდილება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციებთან და განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაწყვეტისას. შპს „ბახვი 2“ მუდმივად ცდილობს განავითაროს საკუთარი გუნდის მრავალფეროვნება სხვადასხვა ბაზარზე, მაღალი ეფექტიანობისა და პროფესიული კომპეტენციის სტანდარტების შენარჩუნებისათვის. კომპანიის მიზანია, თანამშრომლებისთვის შექმნას პოზიტიური, შედეგზე ორიენტირებული და მოტივაციაზე დაფუძნებული სამუშაო გარემო, სადაც განსხვავებული გამოცდილება დაფასებულია და ყველა თანამშრომელს ეძლევა შესაძლებლობა, სრულად გამოიყენოს თავისი პოტენციალი.

შპს „ბახვი 2“ სამართლიანი, ინკლუზიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს შენარჩუნების ერთგულია. რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის, ასაკის, სქესის (მათ შორის ორსულობის), ოჯახური მდგომარეობის, ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტი ნებისმიერი თანამშრომლის მხრიდან გამოიწვევს დისციპლინურ რეაგირებას, მათ შორის შესაძლოა, თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებაც.

დისციპლინური და საჩივრების პროცედურები

დისციპლინარულ ზომებთან ერთად, კომპანიაში დანერგილია სტრუქტურირებული საჩივრების განხილვის პროცედურა, რომელიც თანამშრომლებს სთავაზობს მკაფიო და კონფიდენციალურ მექანიზმს საკუთარი საჩივრების სამართლიანად, მაღალი სტანდარტით და გამჭვირვალედ გადასაწყვეტად. თანამშრომლებს, რომლებიც პირადად განიცდიან, ან შეესწრებიან დისკრიმინაციას, შევიწროებას, არასამართლიან მოპყრობას, ან ეთიკური ნორმების დარღვევას, შეუძლიათ თავიანთი შეშფოთება დააფიქსირონ კომპანიის საჩივრების მექანიზმის საშუალებით. თანამშრომლებს ასევე მიეცემათ შესაძლებლობა, დააფიქსირონ შესაძლო დარღვევები მხილების (Whistleblowing) პოლიტიკის საშუალებით, რათა სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულება და ერთიანი მიდგომის სტანდარტი. შეტყობინების წარდგენა შესაძლებელია შემდეგი არხებით:

- პირდაპირი შეტყობინება: თანამშრომლებს შეუძლიათ საჩივრის წარდგენა პირდაპირ კომპანიის დირექტორთან, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერთან ან თემთან ურთიერთობის ოფიცერთან;
- უშუალო ხელმძღვანელთან კომუნიკაცია: თანამშრომლებს შეუძლიათ მიმართონ უშუალო ხელმძღვანელს, წერილობით, ან ზეპირი ფორმით და განაცხადონ საკუთარი შეშფოთების შესახებ;
- ანონიმური შეტყობინება: განაცხადონ საკუთარი შეშფოთების შესახებ ჰესის საცხოვრებელ კემპზე განთავსებული საჩივრების ყუთის საშუალებით;
- ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაცია: თანამშრომლებს შეუძლიათ გაგზავნონ საჩივარი კომპანიის მიერ დანიშნულ წარმომადგენელთან ელექტრონული ფოსტით, ან ტელეფონის საშუალებით.

თითოეული საჩივარი განიხილება დროულად, კონფიდენციალურობისა და ნებისმიერი სახის ზეწოლისგან სრული დაცვის გარანტიით. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერი და თემთან ურთიერთობის ოფიცერი ზედამხედველობენ განხილვის პროცესს, რათა უზრუნველყონ თითოეული შემთხვევის დეტალური მოკვლევა და შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარება. იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლის მიერ დაფიქსირებული საჩივარი ვერ მოგვარდება კომპანიის დონეზე, საკითხი გადაეცემა „ჰოლდინგს“ შემდგომი განხილვისთვის. თუკი „ჰოლდინგის“ დონეზეც, ორი დეტალური

განხილვის შემდეგ, საჩივრის თაობაზე სასურველი გადაწყვეტილების მიღება არ მოხერხდება, მომჩივანს მიეცემა რეკომენდაცია საკითხის სასამართლოში განხილვის შესახებ.

შპს „ბახვი 2“ მიზნად ისახავს, ჩამოაყალიბოს ისეთი კორპორატიული კულტურა, სადაც თითოეული თანამშრომელი თავს დაცულად და დაფასებულად გრძნობს; სადაც მათ შეუძლიათ საკუთარი მოსაზრება თუ საჩივარი დააფიქსირონ ზეწოლის გარეშე. აღნიშნული გამჭვირვალე და სტრუქტურირებული საჩივრების განხილვის პროცედურები უზრუნველყოფს სამართლიანობას, ანგარიშვალდებულებას და უმაღლესი ეთიკური სტანდარტების დაცვას.

თანაბარი შესაძლებლობები

შპს „ბახვი 2“ ცდილობს თანამშრომლებისა და სამუშაოს მაძიებლებისთვის უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები. ყველა კანდიდატსა და კომპანიის თითოეულ თანამშრომელს მოეპყრობიან თანაბრად რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან ეროვნული წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის, სქესის (ორსულობის ჩათვლით), ოჯახური მდგომარეობის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

წონასწორობა პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის

შპს „ბახვი 2“ აღიარებს, რომ პროფესიული და პირადი ცხოვრების მოთხოვნები გამოწვევაა და აცნობიერებს საკუთარი თანამშრომლების ერთგულებას კომპანიის ყველა მიზნის მისაღწევად. შპს „ბახვი 2“ ამაყობს, რომ ხელს უწყობს პერსონალს დაამყარონ და შეინარჩუნონ შესაბამისი ბალანსი პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის. ამ ბალანსის მისაღწევად, კომპანია ცდილობს უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემო, რომელიც დაეხმარება პერსონალს უფრო ეფექტიანად მართოს და გაითვალისწინოს საკუთარი ცხოვრების პირადი და ოჯახური ასპექტები.

შესაბამისობა

რეგულაციები:

შპს „ბახვი 2“-ის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა და რეგულაციები, როგორც მათი შინაარსობრივი მნიშვნელობით, ისე სულისკვეთებით იმ არეალში, სადაც ის მუშაობს. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით განსაზღვრული ეთიკური და პროფესიული სტანდარტები სრულად არ შეესაბამება ქცევის კოდექსით დადგენილ მაღალი ხარისხის მოთხოვნებს, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე კოდექსის სტანდარტებს.

ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემო:

შპს „ბახვი 2“ და მისი თანამშრომლები უნდა ცდილობდნენ, უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. შპს „ბახვი 2“ და მისი თანამშრომლები უნდა აკმაყოფილებდნენ ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ყველა რეგულაციას თითოეულ იურისდიქციაში, სადაც კომპანია ოპერირებს.

შპს „ბახვი 2“ იღებს ვალდებულებას გამოიყენოს საუკეთესო პრაქტიკა გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების და ბუნებრივი რესურსების არასათანადო გამოყენების პრევენციის მიზნით.

ფინანსური ჩანაწერები:

შიდა აღრიცხვისა და აუდიტის პროცედურები სამართლიანად და ზუსტად უნდა ასახავდეს შპს „ბახვი 2“-ის ყველა საქმიან ტრანზაქციას და აქტივების განკარგვას. კომპანიას დანერგილი უნდა ჰქონდეს შიდა კონტროლი, რათა სამეთვალყურეო საბჭო დარწმუნდეს, რომ გარიგებები ზუსტი და ლეგიტიმურია. დაუშვებელია არსებობდეს წინასწარ განზრახულად გამოტოვებული ინფორმაცია შპს „ბახვი 2“-ის ტრანზაქციების ფინანსური ჩანაწერებიდან, ასევე დაუშვებელია ფარული საბანკო ანგარიშებისა და ფულადი სახსრების არსებობა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისა და ჩანაწერების შესახებ ნებისმიერი განზრახ, მატერიალური ცრუ წარმოდგენა ან/და დეზინფორმაცია ჩაითვლება კოდექსის დარღვევად და შეიძლება გამოიწვიოს პირის შესაბამისი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა კანონთან სრული შესაბამისობით.

კორპორატიული მხილების პოლიტიკა:

შპს „ბახვი 2"-ის მიზანია წარმართოს ბიზნესი სამართლიანად, სწორად და გამჭვირვალედ, ყველა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნასთან შესაბამისობაში. ამ ვალდებულების დასაცავად და კომპანიის კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას ძლიერი სისტემა ნებისმიერი გადაცდომის, ან დანაშაულის კონფიდენციალურად დაფიქსირებისთვის.

ეს მოიცავს კორპორატიული მხილების კომპლექსური პოლიტიკის განხორციელებას და შეტყობინების არხის შექმნას, რომლის საშუალებით, კოლეგები შეძლებენ დაბრკოლებების გარეშე გამოავლინონ ნებისმიერი დარღვევა. კორპორატიული მხილების პოლიტიკა ისახავს შემდეგ მიზნებს:

- გამჭვირვალობის და ღიაობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;
- კომპანიის თანამშრომლებისთვის მკაფიო ინსტრუქციების შეთავაზება მათთვის პრობლემური საკითხების გადაჭრის თაობაზე;
- შპს „ბახვი 2"-ის მხრიდან მოქმედი კანონებისა და რეგულაციების დაცვის უზრუნველყოფა;
- კოლეგების წახალისება და მათი ხელშეწყობა, რათა ოპერატიულად გამოთქვან საკუთარი ეჭვები არასათანადო ქცევის შესახებ. იმავდროულად თანამშრომლების დარწმუნება, რომ მათ მიერ წამოჭრილი პრობლემები სერიოზულად იქნება აღქმული და სათანადოდ გამოკვლეული.

შპს „ბახვი 2" მოუწოდებს ყველა თანამშრომელს დააფიქსიროს ნებისმიერი ქცევა ან ინციდენტი, რომელიც მათ შეშფოთების საფუძველს აძლევს, როგორიცაა:

- დანაშაულებრივი ქმედება, ან დარღვევა, მათ შორის თაღლითობა, ქურდობა და მითვისება/ნდობის ბოროტად გამოყენება;
- კორუფციის, მექრთამეობის ან შანტაჟის აქტები;
- ფინანსური დარღვევები, არასათანადო ქმედებები, ან არასწორი მენეჯმენტი;
- გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობა;
- მართლმსაჯულების შეცდომა, ან ამ შეცდომის დაშვების ალბათობა;
- პიროვნების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენება.

თანამშრომლებს, რომელთაც სურთ შეშფოთება გამოთქვან, ან განიხილონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, უნდა დაუკავშირდნენ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერს, დავით კობერიძეს ელექტრონულ მისამართზე: dkoberidze@bakhvi.com.ge, ტელეფონით, ან პირადად. მათ ასევე შეუძლიათ დაუკავშირდნენ კომპანიის თემთან ურთიერთობის ოფიცერს, მაია ჩავლეშვილს ელექტრონულ მისამართზე: mchavleshvili@bakhvi.com.ge, ტელეფონით, ან პირადად. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი უზრუნველყოფს საჩივრის ფორმის გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა საჩივრების მიღება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით - სიტყვიერად, ან წერილობით. თანამშრომლებმა უნდა დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება არსებული სისტემის მიხედვით. თანამშრომლებს ასევე შეუძლიათ წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბონ პრობლემური შემთხვევა და ანონიმურად მოათავსონ ის საჩივრების ყუთში, რომელიც საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზეა განთავსებული.

საჭიროების შემთხვევაში წამოჭრილი ნებისმიერი შეკითხვა:

- მმართველი გუნდი საფუძვლიანად განიხილავს საკითხს. საჭიროების შემთხვევაში, ფაქტი დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის სამართალდამცველ ორგანოებს;
- ცალკეულ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოები შეძლებენ ჩაერთონ საქმის სრულყოფილი განხილვისთვის.

არაკეთილსინდისიერად, კომპანიის შეფერხების განზრახვით, ან პირადი სარგებლობისთვის გამჟღავნებული ინფორმაცია ჩაითვლება დისციპლინარულ გადაცდომად. თუ გამჟღავნებული ინფორმაცია არ ბადებს სერიოზულ ეჭვებს მის ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან თუ გამჟღავნება მოტივირებულია პირადი სარგებლით, ეს შეიძლება ჩაითვალოს უხეშ გადაცდომად, რაც გამოიწვევს პირთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

<u>მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა:</u>

შპს „ბახვი 2“ წარმართავს ბიზნეს საქმიანობას მაქსიმალური კეთილსინდისიერებით, რაც ასევე მოიცავს მექრთამეობისა და ანტიკორუფციული კანონების ზედმიწევნით დაცვას. მექრთამეობისა და ანტიკორუფციული კანონმდებლობისადმი ერთგულება თავის მხრივ მოიცავს როგორც საქართველოში მოქმედი რეგულაციების, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული კანონმდებლობის დაცვას. თუ ადგილობრივი კანონმდებლობა კომპანიაში მოქმედ წესებზე უფრო მკაცრ მოთხოვნებს ადგენს, უპირატესობა უფრო მკაცრ ადგილობრივ რეგულაციებს ენიჭება. ქრთამის აღება და კორუფცია კატეგორიულად აკრძალულია. ამ კონტექსტში „ქრთამი“ მოიცავს ღირებულების, სესხის, ჯილდოს, ან სარგებლის ნებისმიერ ფორმას, რომელიც შეთავაზებულია, დაპირებული, გაცემულია ან მიღებულია პირდაპირი, ან ირიბი გზით, ნებისმიერი ინდივიდის მიერ. ამ ტიპის შეთავაზებები წინასწარგანზრახულია იმ მიზნით, რომ აიძულონ პირი განახორციელოს გარკვეული ქმედებები, ან თავი შეიკავოს კონკრეტული ვალდებულებების შესრულებისგან, აიძულონ იგი მიიღოს გადაწყვეტილება კორუფციის ან ნებისმიერი სხვა მხარის სასარგებლოდ. „კორუფცია“ გულისხმობს ძალაუფლების ან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას პირადი სარგებლობის მიღების მიზნით.

<u>სამართლიანი კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური პრინციპების დაცვა</u>

შპს „ბახვი 2“ სამართლიანი კონკურენციისა და გამჭვირვალობის პრინციპების ერთგულია. თითოეული თანამშრომელი ვალდებულია წარმართოს ბიზნეს ურთიერთობები ეთიკურად, პროფესიონალურად და გამჭვირვალედ და ამ პროცესში ზედმიწევნით დაიცვას კანონმდებლობა. ნებისმიერი ეჭვი, ან სავარაუდო დარღვევა დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადაცემული შესაბამისობის განყოფილებაში, სადაც ისინი კონფიდენციალურად და საფუძვლიანად განიხილება. ამ პრინციპების დაცვა გადამწყვეტია ჩვენი რეპუტაციისთვის და კონკურენტუნარიანი, სამართლიანი და საიმედო ენერგეტიკული სექტორის განვითარების ხელშესაწყობად.

<u>ფულის გათეთრებისა და ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების პრევენცია</u>

შპს „ბახვი 2“-ის საქმიანობის საფუძველია გამჭვირვალობა და სანდოობა. ჩვენ ვიცავთ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ფულის გათეთრებისა და ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით მიმართ, რადგან ეს ქმედებები ზიანს აყენებს ბაზრის მთლიანობას და შეიცავს სერიოზულ იურიდიულ და ეთიკურ რისკებს. შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, თითოეული ფინანსური ტრანზაქცია, მათ შორის გადახდები, კონტრაქტები და სხვა ოპერაციები უნდა შესრულდეს გამჭვირვალედ, პატიოსნად და სრულყოფილი დოკუმენტაციით. მკაცრად იკრძალება ისეთი კონფიდენციალური ინფორმაციის პირადი სარგებლისთვის გამოყენება, ან სხვებისთვის უსამართლო უპირატესობის მინიჭება როგორიცაა დაგეგმილი გათიშვები, ან მომავალი ენერგო მოხმარების პროგნოზები.

თუ თანამშრომლები შეამჩნევენ რაიმე საეჭვო ქმედებას ან მიიღებენ რაიმე სახის საეჭვო შეთავაზებებს, მოვუწოდებთ ასეთი ქმედების გამჟღავნებისკენ. შპს „ბახვი 2“ იცავს ღია კარის

პოლიტიკას, რაც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, პირდაპირ მიმართონ დირექტორს, ან გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერს ყოველგვარი შიშის გარეშე. ანონიმურობის სურვილის შემთხვევაში თანამშრომლებს შეუძლიათ გამოიყენონ საჩივრებისა და შემოთავაზებების ანონიმური ყუთი, როგორც ალტერნატიული არხი.
ამ საკითხის წამოჭრით ისინი ხელს უწყობენ კომპანიაში წლობით დამკვიდრებული მთლიანობისა და ნდობის პრაქტიკის დაცვას. სწორი გზით ბიზნესის წარმართვა ნიშნავს ყველა ოპერაციის გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობას და უმაღლესი ეთიკური სტანდარტების დაცვას.

დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები

თანამშრომლებთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება ადამიანური რესურსების პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც დამტკიცდა შპს „ბახვი 2“-ის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული პოლიტიკა თითოეული თანამშრომლის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. ადამიანური რესურსების პოლიტიკას თანამშრომლები კომპანიაში დასაქმებისთანავე ეცნობიან.

- თავი 1. შინაგანაწესის მიზანი და მოქმედების სფერო
- თავი 2. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა
- თავი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები
- თავი 4. დასაქმებულთა ქცევის წესები და ჩაცმულობა
- თავი 5. სამსახურებრივი მივლინება, სამუშაო დრო და დასვენების დრო
- თავი 6. შვებულება
- თავი 7. შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა
- თავი 8. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება, დამატებითი სარგებლის წახალისება
- თავი 9. დისციპლინური პასუხისმგებლობა
- თავი 10. დასკვნითი დებულებები

დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ, გაეცნოთ შპს „ბახვი 2“-ის ადამიანური რესურსების პოლიტიკას. აღნიშნულ დოკუმენტში სრულყოფილად არის წარმოდგენილი ინსტრუქციები ყველა განხილული ასპექტის შესახებ, რაც თავის მხრივ, თანამშრომლებთან ურთიერთობებსა და მათ უფლებებთან დაკავშირებით კომპანიის სტანდარტებსა და მოლოდინებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება

შპს „ბახვი 2“ პატივს სცემს თანამშრომელთა პირად ცხოვრებასა და კონფიდენციალურობას. მონაცემთა დაცვა წარმოადგენს ჩვენი ძირითადი ღირებულებების განუყოფელ ნაწილს და ასახავს ჩვენ ერთგულებას პირადი ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი, როგორც ჰიდროელექტროსადგურის, ასევე კორპორატიული ოფისების მასშტაბით. კომპანია მკაცრად იცავს საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონს, რაც უზრუნველყოფს ეროვნულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას და ამყარებს ნდობას ჩვენს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში.

შპს „ბახვი 2“ პრიორიტეტს ანიჭებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. ნებისმიერი კონფიდენციალური მასალა - მათ შორის, დოკუმენტაცია პერსონალის შესახებ, სამედიცინო ჩანაწერები, საჩივრებთან და მათი მოგვარების გზებთან დაკავშირებული ინფორმაცია, დისციპლინური ქმედებების შესახებ ინფორმაცია დაცული უნდა იყოს არასათანადო გამოყენებისა და გაუმართლებელი გავრცელებისგან. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამომდინარეობს ლეგიტიმური და უფლებამოსილი პროფესიული საჭიროებიდან.

კომპანია პატივს სცემს თანამშრომელთა პირად ცხოვრებას სამსახურს მიღმა და არ ერევა მის პირად ქცევაში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ასეთი ქცევა აისახება თანამშრომლის პროფესიულ საქმიანობაზე, ან ეწინააღმდეგება შპს „ბახვი 2“-ის ღირებულებებსა და ქცევის კოდექსს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომლების მხრიდან ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვასა და იმ პრივილეგიების გამოყენებისგან თავშეკავებას, რომლებიც შეიძლება კომპანიის სახელით ბოროტად სარგებლობად იქნეს აღქმული.

კონფიდენციალური ინფორმაციის უნებართვო გავრცელება კატეგორიულად აკრძალულია.

კლიენტებთან, ან პარტნიორებთან შეხვედრები და სატელეფონო საუბრები უნდა ტარდებოდეს დახურულ სივრცეში, სადაც დაცულია საუბრის კონფიდენციალურობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ფიზიკურად შეუძლებელია, თანამშრომლები ვალდებულები არიან მიიღონ ყველა გონივრული ზომა, რათა საუბრის შინაარსი მესამე პირისთვის ხელმისაწვდომი არ გახდეს.

კომპანია ასევე იცავს „სუფთა მაგიდის“ პოლიტიკას - ყველა სენსიტიური დოკუმენტი, ან ფაილი სამუშაო დღის დასრულებისას, ან სამუშაო მაგიდიდან ხანგრძლივი მოშორებისას, უსაფრთხოდ უნდა შეინახოს (დაიკეტოს შესაბამისი წესით).

კიბერუსაფრთხოების ზომები სენსიტიური ინფორმაციის დაცვისთვის

შპს „ბახვი 2“-თვის სენსიტიური ინფორმაციის დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს და სრულად ეთანხმება კიბერუსაფრთხოების სფეროში აღიარებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს. კომპანიის ციფრული ინფრასტრუქტურის დასაცავად, შპს „ბახვი 2“ თანამშრომლობს სანდრო მესამე მხარის - საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიონალურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო სერვერებზე განთავსებასა და კომუნიკაციების - მათ შორის, კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტასა და ვებ-გვერდზე წვდომის დაცულობას.

კიბერუსაფრთხოების ყოვლისმომცველი პროტოკოლი კომპანიის ქცევის კოდექსის განუყოფელი ნაწილია და მისი დაცვა სავალდებულოა თითოეული თანამშრომლისთვის. აღნიშნული პროტოკოლი ქცევის კოდექსთან ერთად რეგულარულად გადაიხედება ყოველწლიურად , ან საჭიროებისამებრ, რათა მისი შესაბამისობა უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან და თანამედროვე ტექნოლოგიურ ცვლილებებთან.

ჩვენი კიბერუსაფრთხოების ზომების ძირითადი მიმართულებები მოიცავს შემდეგს:

- გარე ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) პარტნიორობა: კომპანია თანამშრომლობს ავტორიტეტულ მესამე მხარის IT პროვაიდერთან, რომელიც უზრუნველყოფს სერვერების, ელექტრონული ფოსტის სისტემებისა და ვებ-აპლიკაციების უსაფრთხოებას
- წვდომის კონტროლი: თითოეულ თანამშრომელს ენიჭება უნიკალური ანგარიშის მონაცემები სამუშაო სისტემაზე წვდომისთვის. საერთო რესურსებზე წვდომა მკაცრად რეგულირდება და განისაზღვრება ინდივიდუალური წვდომის დონე
- პაროლების და დაბლოკვის მოთხოვნები: ყველა თანამშრომელი ვალდებულია გამოიყენოს ძლიერი პაროლი და დაბლოკოს სამუშაო კომპიუტერი მისი სამუშაო სივრცეში დატოვებისას, რათა დაცული იყოს კომპანიის ციფრული რესურსები
- მონაცემთა დაშიფვრა: სენსიტიური ინფორმაცია, მათ შორის თანამშრომლებისა და ოპერაციული პროცესების მონაცემები იშიფრება, როგორც გადაცემის, ისე შენახვის ეტაპზე, რითაც უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცვის მაღალი დონე და არა უფლებრივი წვდომა თავიდანაა აცილებული

სხვა დასაქმება და ინტერესთა კონფლიქტები

პარალელური დასაქმება:

შპს „ბახვი 2“-ის თანამშრომელმა მენეჯმენტის წინასწარი თანხმობის გარეშე არ უნდა მიიღოს სამუშაო შეთავაზება (მათ შორის, როგორც კონსულტანტი, ან დირექტორი) სხვა კომპანიიდან.

ინტერესთა კონფლიქტი:

შპს „ბახვი 2“-ის არცერთი თანამშრომელი არ უნდა იყოს ჩართული ისეთ საქმიანობაში, ურთიერთობაში, ან აქტივობაში, რომელიც შეიძლება ზიანის მომტანი იყოს კომპანიის ინტერესებისთვის, ან ეწინააღმდეგებოდეს მათ. ინტერესთა კონფლიქტი, როგორც ფაქტობრივი, ისე პოტენციური შეიძლება წარმოიშვას ისეთ ვითარებაში, როგორიცაა:

(I) თანამშრომელი პირდაპირ, ან ირიბად არის ჩართული ისეთ საქმიანობაში, ურთიერთობაში, ან გარიგებაში, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის რომელიმე გარიგების მონაწილე პირთან; (II) თანამშრომელი იმ პოზიციაშია, რომ შეუძლია პირადი სარგებლის მიღება ან მსგავსი სარგებლის უზრუნველყოფა თავისი ოჯახის წევრებისთვის, იმ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებით, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის გარიგებებთან;

ასეთი ფაქტობრივი, ან პოტენციური ინტერესთან კონფლიქტის ძირითადი სფეროებია:

- შპს “ბახვი 2”-ის თანამშრომლის, ან მისი ოჯახის წევრის ფინანსური ინტერესი, მათ შორის ისეთი კომპანიების აქციების ფლობა ან პარტნიორობა ისეთ ფირმებში, რომლებიც „ბახვი 2“-ის რეალური ან პოტენციური კონკურენტები, კლიენტები, ერთობლივი საწარმოს მონაწილეები ან სხვა ტიპის სტრატეგიული პარტნიორები არიან (გადახდილი სააქციო კაპიტალის 1%-მდე საჯარო კომპანიის აქციების ფლობა, როგორც წესი, არ განიხილება ინტერესთა კონფლიქტად);
- თანამშრომელი, რომელიც აწარმოებს ბიზნესს შპს „ბახვი 2“-ის სახელით, ან აქვს უნარი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე მის ბიზნესთან დაკავშირებით მესამე მხარესთან, რომლის ნათესავიც არის მთავარი მენეჯერი, ან წარმომადგენელი, რის შედეგადაც მისი ნათესავი მიიღებს სარგებელს;
- ისეთი სარგებლის მინიჭება, როგორიცაა ხელფასის ზრდა, დამატებითი ანაზღაურება, დანიშვნა, დაწინაურება ან ოჯახის წევრის დასაქმება, იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე მყოფ თანამშრომელს შეუძლია გავლენა მოახდინოს აღნიშნულ პროცესზე;
- საჩუქრების, შემოწირულობების, მასპინძლობისა ან/და გართობის მიღება იმ დონეზე, რომელიც მესამე პირებისგან, რომლებიც საქმიან ურთიერთობაში არიან შპს „ბახვი 2“-თან სცდება ჩვეულებრივ და მიღებულ პრაქტიკას

მითითებული ან მსგავსი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების არსებობის მიუხედავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ისტორიულად არსებობდა, თანამშრომლებისთვის სავალდებულოა კომპანიის მენეჯმენტისადმი მათი სრული და დროული გამჟღავნება. ამავდროულად, ყველა თანამშრომელმა უნდა უზრუნველყოს სრული გამჭვირვალობა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ის, ან მისი უახლოესი ოჯახის წევრი (მშობლები, მეუღლე, შვილები) ფლობს ინტერესს ისეთ კომპანიაში ან ფირმაში, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა აქვს შპს „ბახვი 2“-თან.

საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომელმა უნდა მიმართოს უშუალო ხელმძღვანელს და გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია, რომელსაც ხელმძღვანელი თანდართული შენიშვნებით გაუგზავნის კომპანიის მენეჯმენტის მიერ დანიშნულ პირს.

თუ თანამშრომელმა ვერ უზრუნველყო ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება, ხოლო კომპანიის მენეჯმენტმა დამოუკიდებლად შეიტყო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევის შესახებ, რომელიც გამჟღავნებული უნდა ყოფილიყო თანამშრომლის მხრიდან, ეს ჩაითვლება

სერიოზულ დარღვევად და შეიძლება მოიცავდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

მენეჯერსა და მის დაქვემდებარებულ თანამშრომელს შორის სექსუალური ურთიერთობა ავტომატურად ითვლება ინტერესთა კონფლიქტად. ასეთი ურთიერთობის შემთხვევაში, მენეჯერი ვალდებულია, საჭიროებისამებრ, მენეჯმენტთან შეთანხმებით უზრუნველყოს კონფლიქტის გადაჭრა. კონფლიქტის დროული და სათანადო მოგვარების გაჭიანურება შესაძლოა შეფასდეს როგორც ეთიკური გადაცდომა და შედეგად მოჰყვეს დისციპლინური სანქციები, მათ შორის თანამდებობიდან გათავისუფლება.

<u>გენდერული თანასწორობა და ინკლუზია</u>

შპს „ბახვი 2“ ემხრობა ინკლუზიური სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და ყველა თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა არა მხოლოდ ძლიერი მხარეა, არამედ აუცილებელი წინაპირობა კომპანიის მდგრადი განვითარების და წარმატებისთვის. შესაბამისად, შპს ბახვი 2 ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

<u>თანაბარი შესაძლებლობები</u>

ჩვენ მკაცრად ვეწინააღმდეგებით გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და შევიწროების ნებისმიერ ფორმას. ეს მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, სექსუალური ხასიათის შევიწროებით, უთანასწორო მოპყრობითა და მიკერძოებული გადაწყვეტილებებით. შპს „ბახვი 2”-ს გააჩნია მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს შევიწროების პრევენციას და უზრუნველყოფს დაცულ და კონფიდენციალურ საჩივრის განხილვის მექანიზმებს, შურისძიებისა და შიშის გარეშე;

<u>გენდერული დისკრიმინაციისა და შევიწროების პრევენცია</u>

ჩვენ კატეგორიულად ვკრძალავთ გენდერული ნიშნით ნებისმიერი სახის დისკრიმინაციასა და შევიწროებას სამუშაო ადგილზე. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სექსუალური შევიწროებით, არათანაბარი მოპყრობითა და მიკერძოებული გადაწყვეტილებებით. შპს “ბახვი 2” აწარმოებს მკაფიო და გამჭვირვალე პოლიტიკას შევიწროების პრევენციისა და მართვის შესახებ, რაც მოიცავს ეფექტურ მექანიზმებს, რომლებიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს კონფიდენციალურად და უშიშრად დააფიქსირონ ინციდენტები. აღნიშნული პოლიტიკა უზრუნველყოფს უსაფრთხო, სამართლიან და მხარდამჭერ სამუშაო გარემოს ყველასთვის

<u>ბალანსი პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის</u>

შპს „ბახვი 2“ აღიარებს თანამშრომლების მრავალფეროვან საჭიროებებს და მხარს უჭერს პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის შენარჩუნებას მოქნილი სამუშაო გრაფიკით, მშობლის შვებულების პოლიტიკითა და მხარდამჭერი პროგრამებით. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი გარემო, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს იმ თანამშრომლების საჭიროებებს, რომელსაც ოჯახში დამატებითი მზრუნველობის პასუხისმგებლობები გააჩნიათ. უზრუნველვყოფთ, რომ ქალებმა და მამაკაცებმა თანაბრად შეძლონ პროფესიული განვითარება პირადი ვალდებულებების ბალანსის დაცვით;

<u>ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება</u>

ინკლუზიური კულტურის შექმნის მიზნით, შპს „ბახვი 2” ტრენინგებისას ყურადღებას ამახვილებს გენდერული მგრძნობელობის საკითხებზე. ეს ტრენინგები მიზნად ისახავს გაუცნობიერებელი სტერეოტიპების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობას და უსაფრთხო და სამართლიანი სამუშაო გარემოსადმი ჩვენი ვალდებულებების გაძლიერებას

ლიდერობა და ანგარიშვალდებულება

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შპს „ბახვი 2”-ის მენეჯმენტის პირდაპირი პასუხისმგებლობაა. მენეჯერები ვალდებულნი არიან მხარი დაუჭირონ მრავალფეროვნების ინიციატივებს და უზრუნველყონ, რომ მათი გუნდის მუშაობა შესაბამისობაში იყოს კომპანიის ღირებულებებთან. ჩვენ რეგულარულად ვაკვირდებით ჩვენს პოლიტიკასა და პრაქტიკას, ვადგენთ გაზომვად მიზნებს და კომპანიის მასშტაბით ვდგამთ ნაბიჯებს გენდერული ჩართულობის გასაძლიერებლად

გადაცდომებისა და დარღვევების შესახებ ანგარიშგება

იმ შემთხვევაში თუ ჩვენი გუნდის რომელიმე წევრი აღმოაჩენს, ან შეესწრება მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დარღვევას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გააკეთოს მოხსენება დადგენილი გზებით, რაც არა მხოლოდ რეკომენდირებული, არამედ სავალდებულოა. ამ კომუნიკაციების კონფიდენციალურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მომწოდებლის დაცვას. გადაცდომებისა და დარღვევების შესახებ საიმედო ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, კომპანია ატარებს ტრენინგებს. აღნიშნული ტრეინინგ პროგრამა ასწავლის თანამშრომლებს ინციდენტების გასაჯაროების მნიშვნელობას და საშუალებას აძლევს, ამოიცნონ არაეთიკური ქცევა, რაც ხელს უწყობს სამუშაო ადგილზე შესაბამისობისა და კეთილსინდისიერების კულტურას. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერი მუშაობს როგორც ძირითადი საკონტაქტო პირი ანგარიშგების დამუშავებისთვის და უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას. ზედამხედველები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკუთარ დეპარტამენტებში არსებული საკითხების დროულად მოგვარებაში და საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მათ. კომპანიის დირექტორი უზრუნველყოფს ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებთან და ღირებულებებთან შესაბამისობას. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ანგარიშგების პროცესის ეფექტიანად და გამჭვირვალედ ფუნქციონირებას და რეგულარულად იღებს დაფიქსირებული ინციდენტების შესახებ განახლებულ ინფორმაციას. ანონიმური მოხსენების შესაძლებლობა, როგორიცაა საჩივრების ყუთი, ხელს უწყობს თანამშრომლებს შიშის გარეშე გაამჟღავნონ ინციდენტების შესახებ ინფორმაცია. ეს მიდგომა იცავს თანამშრომელთა ანონიმურობას და ხელს უწყობს ნდობისა და გამჭვირვალობის კულტურას. დროული რეაგირება და შემდგომი მონიტორინგი ანგარიშგების სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია, ინციდენტების გამოძიებისა და აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მკაფიოდ განსაზღვრული ვადებით. ანგარიშების მიღებისთანავე კომპანია დაუყოვნებლივ იწყებს საფუძვლიან განხილვას. გამჭვირვალობის ვალდებულების ფარგლებში, ყველა დარღვევა განიხილება, როგორც სწავლისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. მიიღება სწრაფი მაკორექტირებელი ზომები, რომელიც გაძლიერებულია პრევენციული ღონისძიებებით, რათა მომავალი გამოწვევების შემთხვევაში გაუმჯობესდეს კომპანიის უსაფრთხოება. დარღვევების რეგულირება გადამწყვეტია ჩვენი ორგანიზაციის მთლიანობის შესანარჩუნებლად. აღნიშული კულტურის განვითარებით, სადაც ანგარიშგება წახალისებულია და ქმედებები სწრაფი და ეფექტური, კომპანია მხარს უჭერს მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლას და ამავდროულად ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას და ნდობას შპს „ბახვი 2“-ში. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების სიფრთხილითა და კეთილსინდისიერებით მართვა. მათი უკიდურესად სერიოზული მნიშვნელობის აღიარების მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აღნიშნული საკითხების ანგარიშგებისა და მართვისთვის პროცესებს. დოკუმენტი ხაზს უსვამს, ჩვენი ოპერირების თითოეულ ასპექტში, ჩვენს ვალდებულებას გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეთიკურ ქცევას. ეთიკური და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგების შესახებ დამატებითი 11 ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ დოკუმენტი სახელწოდებით „ეთიკური და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგება”.

სხვა დებულებები

ეთიკური ქცევა:

შპს „ბახვი 2“-ის ყველა თანამშრომელი, აქციონერი და დირექტორი კომპანიის სახელით უნდა იცავდეს პროფესიონალიზმს, პატიოსნებას, მთლიანობას, ასევე მაღალ მორალურ და ეთიკურ სტანდარტებს. ასეთი ქცევა უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე. ყველა თანამშრომელი თავის პროფესიულ გარემოში პასუხისმგებელია კოდექსის განხორციელებასა და გათვალისწინებაზე. კოდექსის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები, მათ შორის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

კომპანიის აქტივების დაცვა

შპს „ბახვი 2“-ის აქტივები გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ მიზნობრივად, დასაქმებულის უფლებამოსილებისა და კომპეტენციის თანახმად. ზემოაღნიშნული მოიცავს მატერიალურ აქტივებს, როგორიცაა ელექტრო ტექნიკა, სისტემები, მასალები, რესურსები, ისევე როგორც არამატერიალური აქტივები, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები და სისტემები, საკუთრების შესახებ ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრება, ურთიერთობა მესამე მხარეებთან და ა.შ.

სამოქალაქო ჩართულობა:

შპს „ბახვი 2“-ის თანამშრომელი თავის პირად ცხოვრებაში თავისუფალია ითამაშოს აქტიური როლი სამოქალაქო ან პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის საქმიანობასა და ინტერესებზე.

ინფორმაციის გამოქვეყნება და გავრცელება:

ხელმძღვანელის პირადი ნებართვის გარდა, შპს „ბახვი 2“-ის თანამშრომელს არ შეუძლია გამოაქვეყნოს ან გაავრცელოს რაიმე სტატია, განცხადება ან ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობასა ან ინტერესებზე.

მიწოდებული მონაცემების მთლიანობა:

შპს „ბახვი 2“ -ის ყველა თანამშრომელი ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის მიერ კომპანიისთვის მიწოდებული მონაცემების, ან ინფორმაციის ხელშეუხებლობას. ინფორმაციის არასწორმა წარმოდგენამ (შინაარსით თუ ფორმით), პლაგიატმა, ან მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგნებულად გამოტოვებამ შეიძლება გამოიწვიოს მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობა, მათ შორის სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

საოფისე ჩაცმულობა:

თანამშრომელი სამუშაო ადგილზე წარმოდგენილი უნდა იყოს მოთხოვნილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. სამოსი შესაძლოა იყოს განსხვავებული სხვადასხვა ოფისში, თუმცა არსებობს მოლოდინი, რომ თითოეულ თანამშრომელს კომპანიის დადებითად წარმოჩენის მიზნით აცვია აკურატულად და პროფესიონალურად. საჭიროების შემთხვევაში ყველა თანამშრომელმა უნდა ატაროს პირადი დამცავი აღჭურვილობა. დაუშვებელია მკაფიოდ გამომწვევი სამოსი, შესამჩნევად უსუფთაო ტანსაცმელი და მოუვლელი თმა.

გარდა ამისა, ჰიდროელექტროსადგურის ყველა თანამშრომელმა უნდა ატაროს პერსონალური დამცავი აღჭურვილობა (მათ შორის ჩაფხუტი, სათვალე, ხელთათმანები და დამცავი ტანსაცმელი) უსაფრთხოების პროტოკოლების მოთხოვნის შესაბამისად. ამ წესების დაუცველობა უქმნის რისკს ინდივიდებს და პერსონალს და იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. უსაფრთხოების პრიორიტეტულობა უმნიშვნელოვანესია. ყველა თანამშრომელმა მუდმივად უნდა ატაროს და შეინახოს თავისი პერსონალური დამცავი აღჭურვილობა ჰესის სამშენებლო პერიმეტრზე ყოფნის დროს.

უფლებამოსილების განხორციელება:

შპს „ბახვი 2“-ში დასაქმებულებს ხშირად მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ენიჭებათ. თანამშრომლებმა უნდა აიღონ ვალდებულება და გამოიყენონ ეს უფლებამოსილებები მაქსიმალური ზრუნვით და პატივისცემით მენეჯმენტთან პერსონალთან, კლიენტებთან, სამთავრობო უწყებებთან, ინვესტორებთან და კონტრაქტორებთან ურთიერთობაში. შპს „ბახვი 2“-ის თანამშრომლებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ საკუთარი უფლებამოსილების გადაჭარბების თვალსაზრისით. აღნიშნული ზოგჯერ ძნელი გასაცნობიერებელი და ხშირად უნებლიეა. უფლებამოსილების არაგონივრულმა ან უპატივცემულო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს უკიდურესად უარყოფითი შედეგები კლიენტებისთვის, კონტრაქტორებისთვის, პარტნიორებისთვის და კოლეგებისთვის, ვინაიდან თანამშრომლები ხშირად ორგანიზაციის ხმას წარმოადგენენ. თანამშრომლები ყურადღებით უნდა იყვნენ იმ პოტენციური ზიანის მიმართ, რომელიც შეიძლება სხვებს უფლებამოსილების არაგონივრული ან უპატივცემულო გამოყენებით მიაყენონ.

შვებულება და სამსახურში გამოუცხადებლობა

ავადმყოფობა და ჰოსპიტალიზაცია

თითოეული თანამშრომლის შრომით ხელშეკრულებაში შეტანილი იქნება დებულებები ავადმყოფობის და ჰოსპიტალიზაციის გამო შვებულების შესახებ, შესაბამისი ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

დეკრეტული შვებულება:

შპს „ბახვი 2“ უზრუნველჰყოფს თავის თანამშრომლებს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული. ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლები რეგულარულად მიიღებენ ხელფასს. დეკრეტული შვებულება დაიწყება ბავშვის დაბადების დღეს, თუ არ არსებობს ალტერნატიული შეთანხმება. თუ შპს „ბახვი 2“-ის თანამშრომელს ორსულობის გამო არ შეუძლია მუშაობა ნაწილობრივ ან სრულად, გამოყენებული იქნება იგივე რეკომენდაციები, რაც დაშვებულია შრომისუუნარობის დროს, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

მამების დეკრეტული შვებულება ახალშობილის მოვლისთვის:

შპს „ბახვი 2“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველჰყოს საკუთარი თანამშრომლები ახალშობილის მოვლისათვის მამების ორკვირიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული. ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლები უწყვეტად მიიღებენ კუთვნილ ხელფასს. ახალშობილის მოვლისათვის საჭირო მამების დეკრეტული შვებულების ათვლა დაიწყება ბავშვის დაბადების დღიდან, თუკი ეს სხვაგვარად არ არის შეთანხმებული. გარემოებების მიუხედავად, ეს საკითხი საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

ქცევის კოდექსის წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, კომპანია ყოველი წლის ბოლოს, აწარმოებს ქცევის კოდექსის სრულყოფილ გადახედვას. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს.

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის მკაცრ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები გადაეცემა კომპანიის დირექტორს, რევიზიისა და დამტკიცებისათვის. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს, საბოლოო რევიზიისა და

დამტკიცებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული ქცევის კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.